გრაკლიანი გორა
სამაროვანი
2011

ავტორი: ვახტანგ ლიჩელი

18.07.2011
საცდელი თხრილი 11/1
სამარხი #1

სამარხი ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში თარაზოდან 95 სმ-ზე. მისი სიგრძეა 1,20 სმ. სიგანე - 0,60 სმ. არის მართკუტხა ფორმის, კუთხეებმომრგვალებული. მიწის ზედა ფენის არების დროს ჩნდებოდა შავი ქვები. შემდგომში ისინი დაფიქსირდა სხვა სამარხებშიც. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული. მარცხენა გვერდზე თავით აღმოსავლეთით. ზედა და ქვედა კიდურები მკვეთრად მოზხრილი აქვს. ქვედა კიდურები ოდნავ მოცილებულია მენჯის ძვლებს და გადავარდნილია ჩრდილოეთით. თავის ქალა და ჩონჩხი დაზიანებულია. ქვედა ყბა ჩამოვარდნილია. მიცვალებული სავარაუდოდ მდედრობითი სქესისა უნდა იყოს. მისი შემორჩენილი ჩონჩხის სიგრძეა 70 სმ. ბარძაყის ძვლის სიგრძე - 37 სმ.

მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოსავლეთით აღმოჩნდა:

1. ხელადა, მოწითალოდ გამომწვარი და შინდისფერი საღებავით შერებილი. ცალყურა. აღმოჩნდა თავის ქალალას აღმოშავლეთით.

2. ფიალა მოწითალოდ გამომწვარი, მუქი შინდისფერი სსაღებავით შეღებილი. შუაგულში სპირალური ორნამენტი აქვს დატანილი.

ფიალაზე მიწის ზემოდან იდო აღაპის ნაშთი.

18.07.2011
საცდელი თხრილი 11/1
ორმოსამარხი #2

სამარხი ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში. არის მართკუთხედის ფორმის, კუთხეებ მომრგვალებული. ზომები: სიგრძე - 1,20 სმ. სიგანე - 50 სმ. დაკრძალულია ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე თავით დასავლეთით. ზედა და ქვედა კიდურები მკვეთრად მოხრილი აქვს. ჩონჩხი დაზიანებულია. ზედა კიდურების ფალანგები თავის ქალაქ ქვეშ არის დაფიქსირებული. სქესის გარკვევა ძვლების

დაზიანების გამო არ ხერხდება. მიწის ზედა ფენის მოხსნისას დაფიქსირდა სხვადასხვა ზომის შავი ქვები.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯამი (შესაძლოა ტუჩიანი) შავად გამომწვარი, ამობრუნებულ მდგომარეობაში. აღმოჩნდა მიცვალებულის კისრის მალებთან, სამარხის დასავლეთით.

2. ხელადა, მოცალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთით მიცვალებულის ხერხემალთან.

3. კოჭობი, მცირე ზომის, ცალყურა. აღმოჩნდა მიცვალებულის ხერხემლის დაბოლოებასთან.

4. სამაჯური რკინის (მთლიანი, დაუზიანებელი). აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის სხივის ძვალზე.

5. ვერცხლის საყურე 2ც., 1ც. აღმოჩნდა თავის ქალის ჩრდილოეთით, მეორე - სამხრეთით.

6. სამაჯურის ფრაგმენტები, რკინის. აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის სხივის ძვალთან.

7. სამაჯურის ფრაგმენტები, რკინის. აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის სხივის ძვალთან.

8. სამაჯურის ფრაგმენტები, რკინის. აღმოჩნდა მარცხენა კიდურთან მიცვალებულის ჩონჩხის ალაგების დროს.

9. ბეჭედი რკინის, ფარაკიანი. აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის ფალანგზე,ჩონჩხის ალაგების დროს.

10. ბეჭედი რკინის, ფარაკიანი. ფრაგმენტების სახით. აღმოჩნდა ზედა მარცხენა კიდურტან.

11. საკინძი ბრინჯაოსი. აღმონდა მიცვალებულის ძვლების ალაგების შემდეგ ნეკნების ძვლებთან.

12. მძივები - სხვადასხვა ფორმის, ზომის და მასალის. აღმოჩნდა მიცვალებულის კისრის მალებთან.

19.07.2011

საცდელი თხრილი 11/1

ორმოსამარხი #3

სამარხი ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში. იგი მრგვალია, დაზიანებული. სავარაუდოდ თავდაპირველად ქვაყრილიანი იყო. მისი ქვების ნაწილი სამარხშია

ჩაყრილი. თარაზოდან 1,20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხის ზომებია: 1,30 სმ. (დიამეტრის) გარე ზომა. შიდა ზომა - 90 სმ.

სამარხის აღმოსავლეთით მდებარე მოზრდილ ქვაზე ბრტყელი ცხოველის ძვლების ნაშტია შემორცენილი. მიცვალებულის ჩონჩხიძალიან არის დაზიანებული და მცირე ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი. სამარხის ზედაპირზე ჩრდილოეთის მხრიდან კიდეზე აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი, სამი ორმოს იატაკზეა დალაგებული, ხოლო ერთის ფრაგმენტები ცხოველის ძვლების ქვეშ იყო. სამარხში მიწის სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა შავი სხვადასხვა ზომის ქვები.

სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჭურჭელი, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო აღმოსავლეთით.

2. ტოლჩა, შავად გამომწვარი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

3. ჯამი, შავად გამომწვარი. აღმოჩნდა #1 ჭურჭლის გვერდით.

4. კოჭობი, შავი, მოწითალო კეცის მქონე. აღმოჩნდა #3 ჭურჭლის გვერდით, სამარხის დასავლეთით.

5. ხელადა, ჩალისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა კოჭობის წინ სამარხის სამხრეთ ნაწილში.

6. ფიალა, შავად გამომწვარი, მცირე ზომის. შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკის დონეზე ოსტეოლოგიური მასალის ქვეშ.

7. რკინის დანის წვერის ფრაგმენტი. აღმოჩნდა სამარხის იატაკზე, ჭურჭლების დონეზე. მისი პირის და ხის ტარის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამარხის ალაგების დროს ორმოს კიდეზე ჩრდილოეთის მხრიდან.

8. მძივები, თვალადი, მინისებური პასტის და მილისებრი ფორმის.

9. რკინის ნივთის ფრაგმენტები. (სავარაუდოდ ხატისუღელი). აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკის დონეზე.

23.07.2011
საცდელი თხრილი 11/1
სამარხი #4

სამარხის ორმო ჩაჭრილია თიხნარში. თარაზოდან 1,24 სმ-ის სიღრმეზე. სამარხის ზომებია: სიგრძე - 95 სმ, სიგანე - 50 სმ. ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება #2 სამარხს, დასავეთით #3-ს და აღმოსავლეთით #5 სამარხს. სამარხი არის

მართკუთხედის ფორმის, კუთხეებმომრგვალებული. დაკრძალულია ერთი მიცვალებული მარცხენა გვერდზე თავით აღმოსავლეთისაკენ. ზედა და ქვედა კიდურები მკვეთრად მოხრილი აქვს. მარჯვენა კიდური მარცხენაზე აქვს დადებული, მტევნები თავია ქალასთან აქვს მიტანილი. თავის ქალა ჩამსხვრეულია. ჩონჩხის დანარჩენი ნაწილი კარგად არის შემონახული. სამარხის სამხრეთ ზედა კიდურის სხივის ძვალთან ცუდად დამუშავებული ნაცრისფერი თიხის ჭურჭლის ფრგმენტი იყო, რომელიც გაწმენდისას ჩაიშალა. დასავლეთით მენჯის ძვალთან იდო მოვარდისფროდ გამომწვარი ხელადა. იქვე, მის გვერდით, მოშავო - მოყავისფროდ გამომწვარი, ცუდად განლექილი თიხის ქოთანი. მარჯვენა ქვედა კიდურის წვივის ძვალთან აღმოჩნდა რკინის ნივთის ფრაგმენტი; მარჯვენა ზედა კიდურის სხივის ძვალზე რკინის სამაჯური, ხოლო კისრის მალებტან მიმობნეულია მინისებრი პასტის თვალადი მძივები. რკინის ნივთის ფრაგმენტები დაფიქსირდა აგრეთვე თავის ქალის ქვეშ, რომლის სავარაუდოდ ხატის უღელს უნდა წარმოადგენდეს.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ხელადა, მოვარდისფროდ გამომწვარი. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, მენჯის ძვალთან.

2. თიხის ქოთანი, მოშაო-მოყავისფროდ გამომწვარი. იქვე სამარხის დასავლეთით.

3. სამაჯური, რკინის. მარჯვენა ზედა კიდურის სხივის ძვალზე.

4. მძივები - მინისებრი პასტის, ხალიანი. კისრის მალებთან.

5. რკინის ნივთის ფრაგმენტები. აღმოჩნდა მაეჯვენა ქვედა კიდურის წვივის ძვალტან. არების დროს დაიშალა.

6. რკინის ნივთის ფრაგმენტები (ხატისუღელი). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთით თავის არეში.

23.07.2011
საცდელი თხრილი 11/1
ორმოსამარხი #5

სამარხის ორმო ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში. დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება #4 სამარხს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით #3-ს. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში თავის ქალასთან დევს ძლიერ დაზიანებული მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე სახით სამხრეთისაკენ. ზედა და ქვედა კიდურები მოხრილი აქვს. ჩონჩხი

დაზიანებულია. სამარხის სამხრეთ ნაწილში მოთავსებულია მოშაოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ფიალას უნდა წარმოადგენდეს. ლავიწის ძვალთან აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლი (საყურე?), იქვე ბრინჯაოს საკინძე. ლავიწის ძვალთანვე მიმობნეულია მნისებრი პასტის რამდენიმე მზივი. მარჯვენა მხრის ძვალთან რკინის ნივთის ანაბეჭდია.

სამარხში აღმოჩნდა:

1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მოვარდისფროდ გამომწვარი. დაიშალა. აღმოჩნდა თავის ქალასთან.

2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მოშაო ფერის (ფიალა?). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან.

3. ბრინჯაოს რგოლი - აღმოჩნდა ლავიწის ძვალთან.

4. რკინის ნივთის ფრაგმენტები. აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის მხართან.

5. მძივები, მინისებრი პასტის - აღმოჩნდა ლავიწის ძვალთან.

6. ბრინჯაოს საკინძე - აღმოჩნდა ლავიწის ძვალთან.

23.07.2011
საცდელი თხრილი 11/2
ორმოსამარხი #6

სამარხის ორმო ჩაჭრილია რბილ თიხნარში და წარმოადგენს მცირეწლოვანი ბავშვის სამარხს.(დაახლ. 1 წლის) სამარხი საგანგებოდ არის შეკრული. დასავლეთის მხრიდან ორი მცირე ზომის ქვა აქვს. ხოლო აღმოსავლეთიდან სამი. სამხრეთით სამარხის ნახევარზე საგულდაგულოდ არის ამოყვანილი კედელი, მისი ზომებია; სიგრძე: 27 სმ: სიგანე - 6სმ. გაწმენდისას სამარხის მთელს ფართობზე დაფიქსირდა ხის კვალი, სავარაუდოდ სახურავის. სამარხის გარე ზომებია: სიგრძე, 68 სმ, სიგანე - 33 სმ, შიდა ზომებია: სიგრძე 68 სმ, სიგანე: 33 სმ, სამარხში დაკრძალულია ბავშვის ჩონჩხი, თავით დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, მიცვალებულის ქვედა კიდურთან აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი.

სამარხში აღმოჩნდა:

1: ხელადა, თიხის, აგურისფრად გამომწვარი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედლის ძირში.

2: ფიალა, მოწითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა ქვედა კიდურებთან და სანახევროდ ფარავდა მიცვალებულის ჩონჩხს.

3 : სამაჯური რკინის, ფრაგმენტული. აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლების ალაგების დროს.
4: რგოლი ბრინჯაოსი, მცირე ზომის. აღმოჩნდა თავის ქალის ქვეშ.

25.07.2011
საცდელი თხრილი 11/2
ორმოსამარხი # 7

სამარხი ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში და წარმოადგენს მცირეწლოვანი ბავშვის სამარხს. მიცვალებული დასვენებულია თავით აღმოსავლეთისაკენ. პოზა გაურკვეველია. სავარაუდოდ უნდა წოლილიყო მარცხენა გვერდზე. ჩონჩხის ძვლები ცუდად არის შემონახული. სამარხის სიგრძეა - 45 სმ, სიგანე - 38სმ. ჩონჩხის შემოჩენილი ნაწილის სიგრძეა - 37 სმ. ძვლების ალაგების შემდეგ აღმოჩნდა რკინის ნივთის ფრაგმენტები, რომელზეც ქსოვილის ანაბეჭდია.

25.07.2011
საცდელი თხრილი 11/2
ორმოსამარხი # 8

სამარხის ორმო ჩაჭრილია სილანარევ თიხნარში. დასაწყისში გამოჩნდა პირქვე დამხობილი შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ძირი. სამარხის ზომებია:
------ სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული თავით დასავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე. ზედა და ქვედა კიდურები მოხრილი აქვს. თავის ქალა მოცილებულია ჩონჩხს და გადავარდნილია სამხრეთ კედლისაკენ. მარჯვენა ზედა კიდურზე იდო შავად გამომწვარი თიხის ლანგარი.
ჩრდილოეთ კედელთან ქვედა მარჯვენა კიდურის მუხლის სახსართან აღმოჩნდა შავად გამომწვარი, ცუდად განლექილი ცალყურა თიხის ჭურჭელი დაპირქვავებულ მდგომარეობაში.
ისევე ,როგორც სხვა სამარხებში, აქაც დაფიქსირდა შავი ქვა.
სამარხში აღმოჩნდა:
1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მოშაო ფერის. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ-აღმ. მხარეს.
2. ლანგარი, შავად გამომწვარი. ჭურჭელი ფარავდა მიცვალებულის ზედა კიდურების მტევნებს.

3. ცალყურა თიხის ჭურჭელი, შავად გამომწვარი, ცუდად განლექილი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა ქვედა კიდურის მუხლის სახსართან.
4. მძივები, ცისფერი პასტის მიმობნეული იყოს კისრის მალებთან.
5. საკინძი, ბრინჯაოსი, აღმოჩნდა თიხის ლანგრის ქვეშ.2ც. მიცვალებულის ძვლების ალაგების დროს.

24.07.2011
საცდელი თხრილი 11/1
ორმოსამარხი # 9

სამარხი აღმოჩნდა # 3 სამარხის აღების შემდეგ იგივე ადგილზე დაღრმავებისას. ორმო ჩაჭრილია სილანარევ თიხნარში. სამარხის ზომებია: სიგრძე -1,20 მ. სიგანე - 0,80სმ. დაკრძალულია ერთი მიცვალებული მოხრილს მდგომარეობაში თავით აღმოსავლეთით, მარცხენა გვერდზე. სავარაუდოდ მამაკაცია, მისი ჩონჩხის სიგრძეა -85 სმ., თავის ქალა ჩამსხვრეულია, ჩონჩხი დაზიანებულია. თავის ქალის სამხრეთით დალაგებულია თიხის სამი ჭურჭელი- თავთან ჭრაქი, შუაში მცირე ზომის ხელადა და ქვედა კიდურების მუხლის სახსართან თიხის ქოთანი. ზედა მარჯვენა კიდურზე უკეთია რკინის ორი სამაჯური, მათ შორის ერთი სხივის ძვალზე, მეორე მაჯის სახსართან. სამაჯურის გვერდებზე მიმობნეულია იყო სხვადასხვა მასალის და ფორმის მძივები. ასეთივე სამაჯური აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის სხივის ძვალზეც. მარჯვენა მტევნის ორ ფალანგზე აღმონდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები. ერთი მათგანი გატხეილია. თავის ქალაზე ჩრდი-ის მხრიდან ადევს ბრინჯაოს მილაკი(გატეხილი და დაბრყელებულია) , თავის ქალის უკან ,აღმოსავლეთით აღმოჩნდა კიდევ ერთი ბრინჯაოს მილაკი. მისი სიგრძეა-3სმ. ბრინჯაოს მილაკის ფრაგმენტებია თავის ქალის სამხრეთითაც. კისრის მალებთან და ჰულმკერდის არეში მიმობნეულია სხვადასხვა მასალის და ფორმის მძივები.

სამარხში აღმოჩნდა:
1. ჭრაქი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. ყური გადატეხილი აქვს. აღმოჩნდა თავის ქალის სამხრეთით.
2. ხელადა, მონაცრისფრო- მოყავისფროდ გამომწვარი. ჭურჭლის ყელი და ყური მოტეხილია. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან.

3. ქილა- მოჩალისფროდ გამომწვარი.ჭურჭლის პირი ჩამოტეხილია. შემორჩენილ ნაწილზე წითელი საღებავით შესრულებული ორნამენტია დატანილი. საღებავის კვალი შეიმჩნევა ჭურჭლის მუცელზეც.
4. ბრინჯაოს მილაკის ფრაგმენტი. დაბრტყელებული. აღმოჩნდა თავის ქალაზე ჩრდ-ის მხრიდან.
5. აღმოჩნდა თავის ქალის უკან აღმოსავლეთის მხარეს.
6. აღმოჩნდა მიცვალებლის თავის ქალასთან, სამხრეთით.
7. სამაჯური რკინის, დაზიანებული.აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის სხივის ძვლებზე. იქვე, სამაჯურის ორივე მხარეს მიმობნეულია მძივები.
8. სამაჯური რკინის, გატეხილი. აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის მაჯის ძვლებთან.
9. სამაჯური რკინის, დაზიანებული. აღმოსჩნდა ზედა მარცხენა კიდურის სხივის ძვალზე. ორივე მხარეს მიმობნეულია სხვადასხვა ზომის და ფორმის მძივები.
10. ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი.აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის ფალანგზე.
11. ბეჭედი ბრინჯაოსი,ფარაკიანი. აღმოჩნდა ზედა მარჯვენა კიდურის ფალანგზე.
12. ბეჭედი ბრინჯაოსი, დაზიანებული.ყუნწი მოტეხილი აქვს.აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლების ალაგების შემდგომ, ქვედა ყბის ძვალთან.
13. მძივები სხვადასხვა ფორმის , ზომის და მასალის.მათ შორის ხალებიანიც. აღმოჩნდა მიცვალებულის ხერხემლის მალებთან და გულმკერდის არეში.
14. ბრინჯუაოს მხარსაკრავი. აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხის ალაგების შემდეგ სამარხის ჩრდილოეთით.

26.07.2011
საცდელი თხრილი 11/2
ორმოსამარხი # 10

სამარხი ჩაჭრილია ქვაღორღიან ნიადაგში. სამარხის ზომებია: სიგანე 73 სმ, სიგრძე - 150 სმ. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული, სემორჩენილია მხოლოდ ქვედა კიდურების ბარძაყის და წვივის ძვლები და მხოლოდ ერთი ზედა კიდურის მკლავისა და მაჯის ძვლები. ძვლების განლაგებით თუ ვიმსჯელებტ მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე თავით დასავლეთით. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდო მცირე ზომის ბრინჯაოს ფირფიტა ექვსი მანჭვალით. ბრინჯაოს ნივთის გვერდზე 7 სმ-ის დაშორებიტ იდო თიხის პატარა კოჭობი შავად გამომწვარი, ოთხი კოპით. სამარხის ჩრდილოეთ კედელთან იდო რკინის შუბისპირი. სამარხის ცენტრალურ ნაწილში მკლავის და მაჯის ძვლებს შორის იდო რკინის სამაჯურები. ბარძაყის ძვლებთან ამობრუნებული იდო ჭრაქი და ზემოდან ედო საქონლის დიდი ძვალი (აღაპი). სამარხის აღმოსავლეთ კიდესთან ჩამწკრივებული იდო სამიჭურჭელი. ჩრდილოეთ მხარეს ჩალისფერი დოქი, ძლიერ დამსხვრეული, სუაში პატარა ხელადა მუცელზე ტეხილი ხაზებით, შავად გამომწვარი და სამხრეთ მხარეს შავად გამომწვარი ცალყურა ქოთანი ასევე ძლიერ დამსხვრეული. სამარხის ცენტრალურ ნაწილში მიწის მოხსნისას აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს საყურე და რკინის სამაჯურის ნატეხები, რომელზეც შეიმჩნევა ქსოვილის კვალი.